# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 3 მარტი 2006 №47 (2669) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააკაშვილმა გედევანიშვილის პრობლემები აიტაცა



ბაჩო კორინთელის ფოტო



# ტოპკლასი თუ დაწყებითი კლასი?

## ლევან ცქიტიშვილი: ნუ გაგვაგიჟებთ ამ კაცს!

...ეს ბიჭები იქნებ მართლაც ტალანტები არიან, მაგრამ, ვფიქრობ, მათთვის ეროვნული გუნდი ჯერ ადრეა.

...ალბათ სჯობს, ეს ფეხბურთელები ეროვნულ გუნდს ნელ-ნელა შეაჩვიონ, ვიდრე ერთბაშად.

...მოლდოვასთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერი გაგიჟებული იყო, ხმამაღლა ილაპარაკა და მეტწილად ამ ახალგაზრდების გასაგონად თქვა, რომ ასეთი თამაშით ნაკრებში მათ ადგილი აღარ ექნებათ.

...უკვე დავრწმუნდი, რომ ტოპმიოლერს ფეხბურთელებზე დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია — ძალიან გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელია.

...მალტიდან ფრანკფურტამდე ტოპმიოლერთან ერთად ვიმგზავრე. განსაკუთრებული არაფერი გვითქვამს, უბრალოდ, ტოპმიოლერს სურს, მისთვის ჯერჯერობით ყველა უცნობ ფეხბურთელზე მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეს.



# ტოპიმ ყველაფერი გაიგო

## ლევან ცქიტიშვილი: ბიჭები წაგებულები არიან

*მალტის ტურნირი და კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილი ჩვენი ეროვნული გუნდი — აი, ამ ერთი კვირის მთავარი სალაპარაკო თემა საფეხბურთო საქართველოში.*

*0:1 მალტის „ჰიბერნიანსთან“, საშინელი 1:5 მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან და გუშინწინდელი 2:0 მალტელებთან — ასეთი შედეგით გამოემგზავრა კუნძულიდან საქართველო და, რა თქმა უნდა, ჩვენც საფიქრალი მოგვეცა.*

*რა და როგორ იყო მალტაზე, რატომ წააგო გამანადგურებელი ანგარიშით საქართველოს ნაკრებმა და რა იყო ახალი ტოპმიოლერის გუნდში — ამ კითხვებზე ნაკრებისა და გერმანული „ვოლფსბურგის“ ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი გვპასუხობს...*



— მოლდოვასთან, ფაქტობრივად, ჩვენც ახალგაზრდული ნაკრებით ვითამაშეთ, მოედანზე სულ ოთხი ფეხბურთელი ვიყავით დანარჩენებზე უფროსი და თანაც მსაჯმა მალხაზ ასათიანი და ზურაბ ხიზანიშვილი გააძევა. მეორე მატჩი კი, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩავატარეთ.

— რა ვთქვა, ამ შემადგენლობით პირველად მოლდოვასთან ვითამაშეთ და ალბათ იხე ვერ ავეწყვეთ, როგორც საჭირო იყო, მატჩისთვის სათანადოდ გაწყობა ვერ მოვახერხეთ.

— ჩვენ ფაქტობრივად 19-წლამდელთა ნაკრებით ვთამაშობდით. ეს ბიჭები იქნებ მართლაც ტალანტები არიან, მაგრამ, ვფიქრობ, მათთვის ეროვნული გუნდი ჯერ ადრეა. დარწმუნებული არ ვარ, რომ მოლდოვასთან ასეთი სამარცხვინო მარცხის შემდეგ მათ წაგებულის ფსიქოლოგია არ ჩამოუყალიბდებათ — ისინი ჯერ სრულიად გამოუცდელნი არიან. ალბათ სჯობს, ეს ფეხბურთელები ეროვნულ გუნდს ნელ-ნელა შეაჩვიონ, ვიდრე ერთბაშად. 1:5 წაგება მათთვის დიდი ფსიქოლოგიური დარტყმაა.

— მოლდოვასთან მატჩის შემდეგ ტოპმიოლერი გაგიჟებული იყო, ხმამაღლა ილაპარაკა და მეტწილად ამ ახალგაზრდების გასაგონად თქვა, რომ ასეთი თამაშით ნაკრებში მათ ადგილი აღარ ექნებათ. ეროვნულ გუნდში თამაშისას მეტი მონდომებაა საჭირო.

— მალტასთან მატჩის წინ მწვრთნელმა გვითხრა, რომ ახალი გუნდის შენებას ვიწყებთ, დავალების შესრულება ეგებ გაგიჭირდეთ, მაგრამ გთხოვთ, მოინდომოთ და ერთმანეთს კეთილსინდისიერად დაეხმაროთო. უკვე დავრწმუნდი, რომ ტოპმიოლერს ფეხბურთელებზე დიდი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა შეუძლია — ძალიან გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელია.

— ახალი რა იყო? ყოველ შეთხვევაში, ბუნდესლიგაში მოთამაშეებისთვის მწვრთნელის ყველა დარიგება გასაგები იყო და ვცდილობდით, ეს ახალგაზრდებისთვისაც გასაგები ყოფილიყო.

— მწვრთნელი რას ფიქრობს, არ ვიცი, ამ ტურნირისას კი ნაკრებს მცველები აკლდა და ტოპმიოლერმა დაცვაში, ალბათ, ამიტომაც მათამაშა.

— მალტასთან მატჩის დღეს, დილის ვარჯიშზე ტოპმიოლერმა აქცენტი სწორედ სტანდარტულების დამუშავებაზე გააკეთა — ეს ჩვეულებრივი ამბავია. მწვრთნელმა საჯარიმოს თუ კუთხურის შესრულებისას ყველა ფეხბურთელს კონკრეტულად მიუთითა ის პოზიცია, სადაც ბურთის გათამაშებისას უნდა ყოფილიყო. ლევან კობიაშვილმა კი ჯარიმიდან ჩააწოდა და ჯაბა კანკავამაც მალტას მეორე გოლი გაუტანა — ყველა ფეხბურთელმა წინასწარ იცოდა, ამ მომენტში რა ეკეთებინა.

— მალტიდან ფრანკფურტამდე ტოპმიოლერთან ერთად ვიმგზავრე. განსაკუთრებული არაფერი გვითქვამს, უბრალოდ, ტოპმიოლერს სურს, მისთვის ჯეროვნობით ყველა უცნობ ფეხბურთელზე მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეს. თვითმფრინავში სწორედ ასეთი ფეხბურთელების დახასიათება მთხოვა.

**კოკა ინასარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

*ბოლნისის „სიონმა“ წელი „ბორჯომთან“ სათასო 1:0 მოგებით დაიწყო, რასაც „ლოკომოტივის“ 4:0 განადგურებაც მოაყოლა და ცხრილში მეორე ადგილზე გამაგრდა. არადა, ქვემოქართლელებს ძალიან მღელვარე ზამთარი ჰქონდათ: გუნდი ოთხმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, ზედ „ბორჯომთან“ თამაშის წინ კი ხვიჩა ქასრაშვილის ნაცვლად მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნა.*

*თქმა არ უნდა, მეორე წრეში ცხადაძის მთავარი იმედი 25 წლის ტექნიკური ფორვარდი კოკა მიქუჩაძე იქნება, რომლისგანაც არაერთი საჭირო გოლი გვახსოვს...*

# სიონი კონკურენციამ უფრო გააძლიერა

## მიქუჩაძეს ერთი ნახტომის სჯერა

**— „სიონში“ ბევრი რამ შეიცვალა. პირველ რიგში კახა ცხადაძეზე გკითხავ — რა სიახლეები მოიტანა მან გუნდში?**

— ჩემგან უხერხული გამოვა ამაზე ლაპარაკი, რადგან ხვიჩა ქასრაშვილის ხელშიც არაფერს ვუჩიოდი. ყველაფერი შეიცვალა-მეთქი, ვერ ვიტყვი და თუ შეიცვალა, მხოლოდ უკეთესობისკენ. დისციპლინა გამყარდა, ფეხბურთელები უფრო ყურადღებიანები გავხდით.

**— მოედანზე რა შეცვალა ცხადაძემ?**

— ცხადაძე განსაკუთრებულ აქცენტს სწრაფ აზროვნებაზე აკეთებს, ითხოვს, რომ მისი მონახაზი ზედმიწევნით შესრულდეს და ეს ძალიან კარგია.

**— ამ სეზონში კლუბის ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?**

— ამაზე ლაპარაკი თითქმის არ ყოფილა, მაგრამ ყველანი ვხედებით, რომ ჩემპიონობისთვის უნდა ვიბრძოლოთ. თან ხელსაყრელი კალენდარი გვაქვს — თითქმის ყველა ლიდერს შინ ვღებთ. არ მესმის, მეორეადგილოსან გუნდს ერთი ადგილით წინ წაწევის იმედი რატომ არ უნდა ჰქონდეს?!

**— მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

— „ვიტ ჯორჯიას“, „დინამოს“ და „ამერს“.

**— ეს კარგი, მაგრამ „სიონს“ პირველი წრის შემდეგ ოთხი კაცი გამოაკლდა...**

— მართალია, დიდი ძალა დაგვაკლდა, მაგრამ შევსებაც კარგი მივიღეთ. იმავ „ლოკომოტივთან“ გამოჩნდა, რომ ხუციშვილი, ჭელიძე და სხვა ახალწვეულები არცთუ ცუდ ფორმაში არიან. ისინი გუნდს რომ შეეჩვევიან, უფრო სასარგებლონი გახდებიან.

**— იმას ამბობ, რომ „სიონი“ მეორე წრეში უკეთესი გუნდი იქნება?**

— ერთ განსხვავებაზე ვიტყვი: ზამთრამდე „სიონში“ კონკურენცია ნაკლებად იყო, რვა-ცხრა ფეხბურთელმა ვიცოდით, რომ უეჭველად ძირითადში უნდა გვეთამაშა. ჩემი აზრით, ამჟამინდელ გუნდში თითო ადგილზე ორი ფეხბურთელი მაინც უნდა გვყავდეს და ლევანდელ „სიონში“ ეგრეცაა. იმედია, მალე კამერუნელი ლეგიონერებიც შემოგვიერთდებიან და კონკურენციაც გაიზრდება.

**ილია ნანოგაშვილი**

# ლაშა სალუქვაძე: ტოპმიოლერს სია ალბათ სხვამ მისცა...



*რუსული პრემიერლიგის მეოთხეადგილოსან ყაზანის „რუბინის“ 25 წლის მცველი ლაშა სალუქვაძე მალტის ტურნირისთვის საქართველოს ნაკრების 35-კაციან სიაში არ შეიყვანეს და როცა მას დავუკავშირდით, პირველ რიგში ამის თაობაზე ვთხოვეთ კომენტარი...*

— გამიკვირდა და გული დამწყდა, მალტის ტურნირისთვის რომ არ გამომიძახეს, სიმართლე გითხრათ, ამას არ ველოდი. თუმცა, ვფიქრობ, რომ კლაუს ტოპმიოლერს ჩემ შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა და მალტაზე წამსვლელ ფეხბურთელთა სიაც ალბათ სხვამ მისცა.

**— როგორ და რა იმედებით ეგებება ახალ სეზონს „რუბინი“?**

— სამი ლეგიონერი დავიმატეთ — ბრაზილიელი, კორეელი და არგენტინელი, კიდევ გიორგი ბაზაევი „ალანიადან“. თუმცა ამით „რუბინის“ დაკომპლექტება არ დასრულებულა, კლუბის ხელმძღვანელობა ახლა კარგ ფორვარდს ეძებს.

**— სეზონი სათასო მატჩით გეწყებათ...**

— 5 მარტს იაროსლავლის „შინიკს“ ვხვდებით და ყაზანის ნაცვლად მატჩი მოსკოვში, ხელოვნურსაფარიან „ლუჟნიკებზე“ გაიმართება, რადგან ყაზანში ღიდთოვლობაა. უკვე შეკრებაზე ვართ მოსკოვში.

**— გიორგი ქინქლაძის ჯანმრთელობა როგორაა?**

— რუსეთში დაბრუნებამდე ესპანეთში „ლა მანგას“ ტურნირი რომ მოვიგეთ, ქინქლაძე მაშინ დაშავდა — მეტოქემ ხელი მოარტყა და ნეკნი გაუბზარა. „ლა მანგამდე“ ახევე ესპანეთში გვქონდა შეკრება და ქინქლაძემ თავიდან სწორედ იქ დაიზიანა ის ადგილი. გიო ახლა უკეთაა, უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს და შესაძლოა, „შინიკთან“ ითამაშოს კიდეც.

**— შარშან „რუბინი“ პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გავიდა და უეფას თასის საგზური მოიპოვა. მაშინ ამბობდნენ, ყაზანელებს დიდი გეგმები აქვთ, ფინანსურად ცსკა-ს და მოსკოვის „ლოკომოტივის“ დარი კლუბი გახდებაო...**

— ცსკა-მდე და „ლოკომოტივამდე“ ბევრი არ გვაკლია, შეგვწევს ძალა, მათ ჩვენი თამაშით კონკურენცია გავუწიოთ. ამ სეზონში ჩვენი მიზანი პრემიერლიგის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრაა და ვფიქრობ, საჩემპიონო შანსიც გვაქვს.

**დავით თავართქილაძე**

# დინამო უკვე ოფიციალურია

## მარცვალაძეს და ალადაშვილს ხუთიანები დაუწერეს



ოთარ მარცვალაძე (№6) კიეველებს 5-წლიანზე შეუთანხმდა

**გუშინ** კიევის „დინამომ“ ოფიციალურად გამოაცხადა ახალწვეულთა ვინაობა, რომელთა შორისაც ორი ქართველია — ოთარ მარცვალაძე და კახა ალადაშვილი. როგორც კიეველები იუწყებიან, ორივე ქართველმა ფეხბურთელმა „დინამოსთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და უკვე 5 მარტს, როცა უკრაინის ჩემპიონატი განახლდება, ჩვენიანებს თამაშის უფლება ექნებათ.

...ოთარ მარცვალაძის კიევის „დინამოში“ გადასვლის ამბავი ადრევე გადაწყვეტილი იყო და კიეველებთან მის სამომავლო კონტრაქტზე უკრაინელებიც დაუფარავად ლაპარაკობდნენ — მოსამზადებელი ეტაპის პირველივე შეკრების შემდეგ ითქვა, რომ მარცვალაძე „დინამოში“ დარჩებოდა. პირველი შეკრება კიეველებს არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ჰქონდათ, მერე კი ორჯერ ისრაელში იყვნენ და ქართველი თავდამსხმელი გუნდს არც იქ დაჰკლებია. საბოლოოდ, მარცვალაძის „დინამოში“ წასვლა ხელმოწერილი კონტრაქტით დამთავრდა.

კახა ალადაშვილი კი ეს ორი თვე „დინამო 2“-თან ემზადებოდა, არადა, კიევში მარცვალაძესთან ერთად ჩავიდა და „დინამოს“ ძირითად გუნდთან ერთი კვირა დაჰყო. მერე კი მისი და ოთარის გზები დროებით გაიყო. მარცვალაძე, როგორც ვთქვით, საემიროებში მთავარ გუნდს გაჰყვა, ხოლო ალადაშვილი კიევში დარჩა და მოგვიანებით ანთალიურ შეკრებაზე გაემგზავრა. თუმცა მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ სრული შემადგენლობით შეკრებილმა „დინამომ“ ალადაშვილიც დაიგულა და თავის მაისურა ოფიციალურად მოარგო.

ქართველების გარდა კიეველებმა ტარას მიხალიკი და რუსი ანდრეი ეშჩენკო შეიმატეს. „დინამო“ ჩემპიონატს 5 მარტს სტუმრად „ილიჩევეცთან“ მატჩით განაახლებს.

**ძოგა ინასარიძე**



რევაზ ძოძუაშვილი



გრიგოლ ხურციძე

# ბრაზილია მორჩა, ქუთაისი დაიწყო

რევაზ ძოძუაშვილი გუშინწინ მოსკოვში რუსეთ — ბრაზილიის ამხანაგურ მატჩს დაესწრო და გუშინ ქუთაისში ჩავიდა. „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ გვითხრა, გუნდი ამაღლებული განწყობით ემზადება „ლოკომოტივთან“ თამაშისთვის და შეიძლება ითქვას, „ტორპედოსთვის“ ახალი ეტაპი იწყებაო. ძოძუაშვილიც იმედიანადაა, იგი უკვე შეუდგა მუშაობას და ქუთათურებსაც მისი ხელი ალბათ უახლოეს ტურებშივე დაეტყობათ.

ეს წლეულს, უმაღლესი ლიგიდან გავარდნას გუნდი ალბათ გადაურჩება, მომავალ სეზონში კი „ტორპედო“ სამეულისთვის იბრძოლებს — ესეც ხურციძის სიტყვებია.

გეცოდინებათ, ეს დღეებია, კლუბში სპონსორსაც ელიან და ხურციძე ამბობს, კომპანიის სახელს მალე გაიგებთო...

**ილია ნანოგაშვილი**

# ხოჯავამ ბორჯომი გადაწყვიტა

## აფერუმ, კურორტულ ნახევარდაცვას

**„როსტოვიდან“** წამოსული გოჩა ხოჯავა ჯერ ნალჩიკის „სპარტაკში“ ისინჯებოდა, ბოლოს „თბილისში“ ვარჯიშობდა, გუშინ კი საბოლოოდ გადაწყდა — 20 წლის გამთამაშებელი სეზონის ბოლომდე „ბორჯომში“ ითამაშებს.

იური გაბისკირია, რევაზ გეწაძე, თორნიკე აფციაური, მიხეილ მესხი, არგენტინელი დარიო სებალე, ახლა კი ხოჯავაც... ვინძლო „ბორჯომის“ დარი ნახევარდაცვით ვერც ერთმა ქართულმა გუნდმა ვერ მოიწონოს თავი. კურორტელთა ვეტერანმა იური გაბისკირიამ გვითხრა, შესაძლოა, ხოჯავამ უახლოეს ტურშივე, ფოთში „კოლხეთთან“ ითამაშოსო.



გოჩა ხოჯავამ „ბორჯომს“ მიაკითხა

ხოჯავაზე გადაწყვეტით რა გითხრათ, მაგრამ ფოთში ვლადიმერ ხაჩიძის ბორჯომული სამწვრთნელო დებიუტი კი შედგება. გაბისკირიამ ისიც გვითხრა, ნელ-ნელა არგენტინელ ლეგიონერებსაც დაეტყოთ ვარჯიშებზე პროგრესი, მომდევნო ტურებში კი ქულათა მაქსიმუმი უნდა ავილოთ, თორემ ლიდერები საკმაოდ გაგვისწრებენო.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბრიტანული ფერო ფეხბურთისკენაა

## ახალი პატრონი და ძველი კოკაია

**სამიოდ** კვირის წინ „ზესტაფონზე“ ხმები აგორდა — გუნდს „ფეროდან“ დაფინანსება შეუწყდება და ის საფეხბურთო ბუმი, რაც ამ ქალაქში ბოლო წელიწადნახევარი იყო, ჩაკვდებაო.

შიში უსაფუძვლო არ ყოფილა: „ფეროში“ მომხდარ სკანდალს კომპანია დიესემ-ის ერთ-ერთი წარმომადგენლის, გიგა ბედინეიშვილის ქარხანაში მისვლა დაერთო, დღეიდან დირექტორი მე ვარო.

რეალურად კი „ფეროს“ სააქციო პაკეტის სრული მფლობელი ბრიტანული კომპანია stemcor-ი გახდა. კომპანიის მმართველმა დირექტორმა დევიდ ფექტორმა განაცხადა, რომ stemcor-ი ყველა ვალდებულებას აიღებს საკუთარ თავზე და მათ შორის საფეხბურთო კლუბის შენახვაც იგულისხმება. ამან ცოტათი დაამშვიდა „ზესტაფონი“, თორემ სკანდალურ დღეებში ფეხბურთელებიც და მწვრთნელებიც აფორიაქებულნი ჩანდნენ.

კლუბის პრესატაშემ სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, „ზესტაფონი“



ილია კოკაია

ჩვეული შემართებით ემზადება და თბილისის „ამერთან“ საშინაო მატჩს მოუთმენლად ელისო. ფუტკარაძისვე ცნობით, კლუბის პრეზიდენტად ყველა ვარიანტში ილია კოკაია დარჩება, მის წასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო...

**ილია ნანოგაშვილი**

# პროფლიგამ არხები გაასამა

**ადრეც** გაუწყეთ, რომ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრიდან „ბათუმის“ საშინაო მატჩებს აჭარის ტელევიზია გადასცემს, ახლა კი კიდევ ორი ტელეარხი ჩაერთვება საქმეში.

4 მარტს მე-17 ტურში „თბილისი“ „დინამოს“ მასპინძლობს და ამ შეხვედრის პირდაპირი რეპორტაჟი საზოგადოებრივ არხზე გადაიცემა, ხოლო მომდევნო ტურის რომელიმე გამორჩეულ შეხვედრას კი ტელეკომპანია „იმედი“ აჩვენებს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ამის თაობაზე უკვე შეუთანხმდა ზემოხსენებულ ტელეარხებს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# უმაღლესი ლიგის კლუბების საყურადღებოდ

### საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატის 4 მარტის მატჩებს ტოვებენ შემდეგი ფეხბურთელები:

1. „ტორპედო“ ქუთაისი — არმაზ დოლონაძე
2. „ამერი“ თბილისი — ვახტანგ ხვადაგიანი, ალექსანდრე კოშკაძე
3. „კოლხეთი“ ფოთი — თემურ ფარულავა
4. „კახეთი“ თელავი — ვასილ არუდაშვილი
5. „ბათუმი“ — გიორგი სეთურიძე, ლაშა ქებაძე
6. „ბორჯომი“ — მიხეილ მესხი
7. „ცხინვალი“ — საბა სულთანიშვილი, მიხეილ თაყაძე
8. „დინამო“ სოხუმი — ირაკლი ჭანტურია

**საქართველოს ჩემპიონატი 17 — პირველი ლიგა — მეორე წრე**

**XIX ტური**

1 მარტი

იმედი 0:1 ზუგდიდი

*მეშახტე — მესხეთი*

*19 მარტს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 19 | 14 | 3 | 2 | 56:21 | 45 |
| მერანი | 19 | 12 | 3 | 4 | 29:13 | 39 |
| გაგრა | 19 | 11 | 5 | 3 | 27:14 | 38 |
| ამერი 2 | 19 | 11 | 3 | 5 | 28:14 | 36 |
| დინამო 2 | 19 | 10 | 5 | 4 | 31:11 | 35 |
| მეშაქრე | 19 | 9 | 3 | 7 | 29:19 | 30 |
| რუსთავი | 19 | 8 | 6 | 5 | 28:19 | 30 |
| გურია | 19 | 8 | 4 | 7 | 29:22 | 28 |
| მესხეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:20 | 28 |
| მეშახტე | 18 | 6 | 7 | 5 | 19:13 | 25 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 6 | 5 | 8 | 16:21 | 23 |
| ზუგდიდი | 19 | 6 | 5 | 8 | 9:17 | 23 |
| საგარეჯო | 19 | 6 | 3 | 10 | 17:22 | 21 |
| თბილისი 2 | 19 | 5 | 5 | 9 | 20:30 | 20 |
| ზესტაფონი 2 | 19 | 5 | 2 | 12 | 15:34 | 17 |
| იმედი | 19 | 5 | 1 | 13 | 14:38 | 16 |
| მაღაროელი | 19 | 3 | 4 | 12 | 14:41 | 13 |
| ლიახვი | 19 | 3 | 0 | 15 | 15:52 | 9 |

*ლოკომოტივი 2-ს მეორე წრიდან იმედი ეწოდა*

# კვირკველია 16

**ზაპოროჟიეს** „მეტალურგმა“ მუდმივნომრიანი მაისურა გადასცა გუნდის ქართველ ახალწვეულს, ვლადიკავკაზის „ალანიადან“ იჯარით აყვანილ დავით კვირკველიას — ჩვენებური პირველ უკრაინულ სეზონს 16 ნომრით ჩაატარებს.

საინტერესოა, რომ კვირკველია თავის ყველა ყოფილ გუნდში — ფოთის „კოლხეთში“, თბილისის „დინამოში“ და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ სწორედ 16 ნომრით თამაშობდა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ზაპოროჟიელთა კიდევ ერთ ქართველ ირაკლი მოდებაძეს 15 ნომერი ერგო.

**კახა შალამბერიძე**

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

*გუშინწინ ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების ოთხმა მეტოქემ — იტალიამ, საფრანგეთმა, შოტლანდიამ და ლიტვამ — ამხანაგური მატჩები ითამაშეს, რომელთაც უცხოური საინფორმაციო წყაროების მეშვეობით მიმოვიხილავთ...*



AFP

## კლინსმანმა გაკვეთილი აღიარა

**იტალია 4:1 გერმანია**

1:0 ჯილარდინო (4), 2:0 ტონი (7), 3:0 დე როსი (39), 4:0 დელ პიერო (57), 4:1 ჰუთი (82)

**იტალია:** ბუფონი, ძაკარდო, ნესტა (მატერაცი 81), ფ. კანავარო, გროსო, კამორანეზი (პასკუალი 89), პირლო (ბარონე 74), დე როსი, დელ პიერო (იაკინტა 81), ჯილარდინო (პეროტა 64), ტონი

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

**გერმანია:** ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტესაკერი (კ. მეცელდერი 46), ჰუთი, ლამი, დაისლერი, ფრინგსი (ბოროვსკი 68), ბ. შნაიდერი (შვაინსტაიგერი 68), ბალაკი, კლოზე, პოდოლსკი (ასამოა 46)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

გაფრთხილება: ნესტა, ფრინგსი, ბალაკი.

28 317 მაყურებელი

**იტალიამ** აჩვენა, რომ ტრავმირებული ფრანჩესკო ტოტის გარეშეც შეუძლია გამარჯვება — იტალიაში ამას ამბობს ჟურნალისტიც, გულშემატკივარიც, მწვრთნელიც, ფეხბურთელიც და სპაგეტის გამყიდველიც.

იტალიის ნაკრებს მანამდე ფლორენციაში 1993 წლის შემდეგ არ ეთამაშა და ცამეტწლიანი პაუზის მერე ევროპისა და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ გერმანიას კუდით ქვა ასროლინა.

იტალიელთა მთავარსარდალმა მარჩელო ლიპიმ სამი თავდამსხმელი გაამწესა — ალესანდრო დელ პიერო, ალბერტო ჯილარდინო და ლუკა ტონი. ისიც ვთქვათ, რომ ლიპის თანაშემწის რანგში დებიუტი ჰქონდა ჩირო ფერარას.

...დელ პიერომ ჯარიმა შეასრულა, იენს ლემანის მიერ მოგერიებულ ბურთს კი ჯილარდინომ მიუსწრო და 1:0.

...დელ პიერომ ჯილარდინოს გაუჭრა პასი, გერმანელები ხელოვნური თამაშგარის შექმნას აპირებდნენ, მაგრამ ჩაფლავდნენ, ჯილარდინომ კი ტონის უპასა — 2:0.

გერმანია რეტდასხმული აღმოჩნდა. იურგენ კლინსმანის გაწვრთნილმა გუნდმა უბრალოდ აღარ იცოდა, რა ეკეთებინა. იტალია კი დამშვიდდა, მეტოქის შეცდომებს ჩაუსაფრდა და მისთვის საყვარელი კონტრშეტევებისთვის შეიმართა. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას კი კუთხური მოინაგრა და რომაელმა დანიელე დე როსიმ ექვსი იარდიდან თავურით მესამეჯერ დაამწუხრა გერმანია.

მიხაელ ბალაკი, ბერნდ შნაიდერი, სებასტიან დაისლერი — იტალიელებს ამათგან თუ ექმნებოდათ მცირე პრობლემები — დაისლერის დარტყმულს რიკოშეტი მოჰყვა, მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონმა ჩინებული რეაქცია გამოავლინა და ბურთი მოიგერია.

კამორანეზი-ჯილარდინო-დელ პიერო — ამ სამკუთხედს მოჰყვა მეოთხე გოლი გერმანელთა კარში — დელ პიერომ თავურით გაიტანა.

გერმანელთა ერთადერთ საპასუხო გოლზე კი გეტყვით, რომ ახმახმა ჩელსელმა რობერტ ჰუთმა ნაკუთხურალი ბურთი 6-7 მეტრიდან გადაგზავნა კარში.

...ოთხი გოლი იტალიას გერმანიისთვის 1970 წლის მუნდიალის ნახევარფინალის (4:3) შემდეგ ვერ გაეტანა.

*მარჩელო ლიპი:* ჩვენ ისეთ დიდ გუნდს ვეთამაშეთ, როგორიც გერმანიაა და მეტოქემ მატჩის ბოლოსღა შეგვიქმნა პრობლემები. ამ გამარჯვებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ასეთი თავდაჯერებულობა და სულისკვეთება მსოფლიოს ჩემპიონატზეც უნდა გაგვყვეს.

*იურგენ კლინსმანი:* ჩვენ თითქოს თამაშიდან გამოთიშულები ვიყავით, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. თავიდანვე ორ გოლს რომ გაუშვებ, გონზე მოსვლა იოლი არ არის. ჩვენ გაკვეთილი ჩაგვიტარეს. იტალიამ დიდებულად ითამაშა და მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი გუნდის მჯერა, ამ მძიმე დარტყმის შემდეგ ფეხზე წამოვდგებით.

## თქვე უგუნურნო!

**საფრანგეთი 1:2 სლოვაკეთი**

0:1 ნემეტი (60), 1:1 ვილტორდი (73პ), 1:2 ვალახოვიჩი (80)

**საფრანგეთი:** ბარტეზი, სანიოლი, ტურამი, ბუმსონგი, სილვესტრი (აბიდალი 61), ა. დიარა, ვიეირა, დორასო, ზიდანი (მალუდა 46), ტრეზეგე (ვილტორდი 46), ანელკა (ანრი 46)

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

**სლოვაკეთი:** ჩაიდუხი, დიურიცა, შკრტელი, ზაბავნიკი (პ. პეტრაში 90), ბორბელი, ნ. ჩეხი, მლინკა (მოდური 85), კრაიჩიკი (ვალახოვიჩი 77), ჰოლოშკო (ნემეტი 58), იაკუბკო (ბიშაკი 68), ვიტეკი (კოპუნეკი 88)

მწვრთნელი: დუშან გალიჩი

75 000 მაყურებელი

რაიმონ დომენეკის ხელმძღვანელობით საფრანგეთის ნაკრებმა პირველი მარცხი იწვნია — ფრანგებს შეცვლაზე შესულმა სლოვაკებმა, ზილარდ ნემეტმა და იოჟეფ ვალახოვიჩმა მოუთავეს საქმე.

მასპინძლები მეტოქეს მეტწილად განაპირა მცველების, ვილი სანიოლის და მიკაელ სილვესტრის ფლანგური ჩაწოდებებით ემუქრებოდნენ, ასეთი შეტევები ალბათ ნიკოლა ანელკას და დავიდ ტრეზეგეს უნდა დაეგვირგვინებინათ, მაგრამ სლოვაკთა მეკარე ლუბოშ ჩაიდუხი მაგრად იდგა — სხვათა შორის, ეს მისი დებიუტი იყო ეროვნულ ნაკრებში.

სლოვაკებს ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ — მარეკ მინტალი და მიროსლავ კარჰანი.

სლოვაკები შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და როცა „მანძილი დაამოკლეს“, იხეირეს კიდეც — ნემეტმა 17-18 მეტრიდან დაანაღვლიანა ფრანგები.

სილვიან ვილტორდმა გამთანაბრებელი პენალტით შეაგდო და აქედან ოთხ წუთში მოედანზე ვენის რაპიდელი ვალახოვიჩი შევიდა, რომელმაც რობერტ ვიტეკის მიერ მონადირებული ჯარიმა გოლად აქცია — 1:2.

*რაიმონ დომენეკი:* ამ წაგებამ მთლად არ უნდა გაგვაწბილოს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ამხანაგური მატჩი იყო. დამარცხებები ვის უხარია, მაგრამ კატასტროფულიც არაფერი მომხდარა. ჩვენ ბევრი სახიფათო მომენტი შევქმენით, თუმცა ეფექტურობა გვაკლდა. აუტანლად მიმაჩნია ის, თუ როგორ ლანძღავდნენ გულშემატკივრები ფაბიენ ბარტეზს. თუ ნამდვილი გულშემატკივარი ხარ, შენი ნაკრების ფეხბურთელს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენო. მოკლედ, წაგებაზე უფრო მაყურებლის რეაქციით ვარ გულმოსული. მე არც კი ვცდილობ, მათ გავუგო, რადგან უგუნური საქციელის გაგება შეუძლებელია.



AFP

ტიერი ანრიმ სლოვაკთა დებიუტანტ მეკარეს ვერაფერი დააკლო

**ალბანეთი 1:2 ლიტვა**

1:0 ალიაი (38), 1:1 სავენასი (39), 1:2 დანილევიჩუსი (45)

**ალბანეთი** (სასტარტო): ბექაი, ალიაი, ჰასი, ჩანა, ლალა, ბილუკბაში, მურატი, დურო, ბექირი, ტარე, ბუში

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

**ლიტვა:** მალინაუსკასი, პაულაუსკასი, ჟვირგჟდაუსკასი, სკერლა, სტანკევიჩუსი, მიჩეიკა (დ. ჟუტაუტასი 89), მიკოლაიუნასი (კალონასი 85), სავენასი (პილიბაიტისი 63), პოშკუსი (ჟალიუკასი 75), დანილევიჩუსი (ლუშკუსი 88), რაძინევიჩუსი

მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი

2 000 მაყურებელი

## ვინც ლიტვას ალმაცერად...

**ლიტვური** ფეხბურთი სადღეისოდ უფრო მზარდია, ვიდრე ალბანური — ასეთია საყოველთაო აზრი და „ქემალ სტაფაზეც“ ლიტველებმა იმარჯვეს.

ბალტიისპირელებმა, ცოტა არ იყოს, ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშეს, რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს არ უხმეს ალბანეთთან მატჩისთვის, თუმც მაინც მოიგეს. ლიტვას არ ჰყავდა ორი ჰართსელი — ნახევარმცველი დეივიდას ჩესნაუსკასი და ფორვარდი ედგარას იანკაუსკასი, ასევე მოსკოვის ცსკა-ს ნახევარმცველი დეივიდას შემბერასი.

...და ვინც ლიტვას ალმაცერად შეხედავს...

## გაკვირვებული სმიტი
### კითხვები, რომლებიც პასუხებზე მეტია

**შოტლანდია 1:3 შვეიცარია**

0:1 ბარნეტა (21), 0:2 გიგაქსი (41), 1:2 მილერი (55), 1:3 კაბანასი (69)

**შოტლანდია:** გორდონი (ნ. ალექსანდერი 49), დეილი, ვეირი (ს. კოლდუელი 56), ვებსტერი, გ. ალექსანდერი, ფლეტჩერი, ბ. ფერგიუსონი (ტილი 50), გ. კოლდუელი, ქვოში, მილერი, მაკფადენი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი (კოლტორტი 50), ფ. დეგენი, სენდეროსი (ლუსტრინელი 73), გრიხტინგი, ბეჰრამი (ჯირუ 50), ბარნეტა, ფოგელი (დზემაილი 81), კაბანასი, ვიკი (ვონლანტენი 50), შტრელერი (სმილიანიჩი 74), გიგაქსი

მწვრთნელი: იაკობ კუნი

20 952 მაყურებელი

**უკვე** მეათე წელია, შოტლანდიის ნაკრებს „ჰემპდენ პარკზე“ ამხანაგური მატჩი რომ ვერ მოუგია.

სქოთთა დამრიგებელმა უოლტერ სმიტმა ექსპერიმენტებს არ მიმართა და 3-5-2 სქემა გამოიყენა. სმიტის განკარგულებაში თითქმის ყველა უძლიერესი შოტლანდიელი ფეხბურთელი და ერთი დებიუტანტი იყო — გარი ტილი, რომელმაც საგოლე პასი მიაწოდა კენი მილერს.

შვეიცარიელებმა ნაირგვარი გოლები გაუტანეს მასპინძლებს — საშუალო დისტანციიდან, თავით, ახლოდან, ხოლო მილერმა დაბალი ბურთი შეუცურა პასკალ ცუბერბიულერის შემცვლელ კოლტორტს — 1:3.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია სმიტმა იმით დაიწყო, რომ მას პასუხებზე მეტი კითხვები აქვს...

— ჩვენი თამაში უნდა გაუმჯობესდეს და თუ როგორ, სწორედ ეს კითხვაა აქტუალური. მთლიანად გუნდში უნდა გამოსწორდეს სიტუაცია. ამ საღამოს ჩვენებმა კარგად ვერ ითამაშეს და იძულებული ვარ, ვიკითხო: რატომ? ჩვენ მკვეთრად უნდა გამოვასწოროთ ვითარება, თუ გვსურს, რომ მომავალ შესარჩევ ციკლში რამეს გამოვრჩეთ. ისიც უნდა ვთქვა, რომ უცნაურია, რატომ ვთამაშობთ შინ უფრო სუსტად ამხანაგურ მატჩებს, ვიდრე ოფიციალურს — უკვირს სმიტს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საკლუბო გმირის უცნაური აღსასრული

## პიტერ ოსგუდი იყო ნამდვილი ჩელსი



**ვინც** არ უნდა იყიდოს დღევანდელმა „ჩელსიმ“, რა ხელფასებიც არ უნდა დანიშნოს რომან აბრამოვიჩმა და რაც არ უნდა მოხდეს, ამ კლუბს ლეგენდა ერთი ჰყავდა: პიტერ ოსგუდი.

სამოცს მიტანებული ოსგუდი გარდაიცვალა და „სტემფორდ ბრიჯზე“ ახლა გლოვაა. ოსგუდი 10 წელიწადს (1964-74) თამაშობდა „ჩელსიში“ და 70-იანი წლების დასაწყისი სწორედ ის დრო იყო, როცა „ჩელსი“ მოდური გუნდი შექნილიყო დასავლეთ ლონდონის ბოჰემაში, მოეგო ქვეყნის ასოციაციის თასი, რომლის ყველა მატჩშიც, ოსგუდს გოლები გაეტანა და მერე ევროპის თასების თასსაც დაუფლებოდა მადრიდის „რეალის“ ძლევით.

ოსგუდი ათწლეულების განმავლობაში განასახიერებდა „ჩელსის“, მაშინაც კი, როცა ფეხბურთს აღარ თამაშობდა. მობერებული „საუთჰემპტონშიც“ იყო, ამერიკის ლიგაშიაც, მაგრამ მთავარი „ჩელსი“ იყო, რომლის შემადგენლობაშიც 150 გოლი გაიტანა. ნაკრებში მხოლოდ ოთხჯერ მიიწვიეს და ტიპიურ საკლუბო გმირს განასახიერებდა.

პიტერ ოსგუდი გარდაიცვალა მოულოდნელად, გული გაუსკდა, როცა სხვის დაკრძალვას ესწრებოდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# კვლავ ბოლო წუთის ამბავი

## ჯო კოულმა ერიკსონს ფანტასტიკური ათქმევინა



AFP ლივერპულიდან

**ჯო კოულის** ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა ინგლისის ნაკრებს მოაგებინა ამხანაგური მატჩი ურუგვაელებთან, რომელსაც 75-ე წუთამდე აგებდა. შეცვლაზე მოსულმა შონ რაიტ ფილიპსმა ჩაუწოდა იმ საღამოს შეუდარებელ კოულს და მანაც ახლო კუთხეში გაუტანა სებასტიან ვიერას.

კარგახანს „ენფილდზე“ იმედგაცრუება სუფევდა: პირველი ტაიმის შუაში ომარ პოუსომ 30 იარდიდან დაჰკრა ძირსდაუშვებლად ბურთს და ინგლისელთა კარში გაჭედა. საერთოდ, ინგლისელთა ეს მატჩი ძალიან მოგაგონებდათ ამასწინანდელ ამხანაგურს არგენტინელთა წინააღმდეგ, რომელშიც მაიკლ ოუენის ბოლო წუთებზე ასრულებულმა დუბლმა ინგლისს მოაგებინა.

თუ იმ თამაშში უეინ რუნი იყო მთავარი კაცი, ამჯერად ასეთი კოული იყო.

ინგლისი სჯობნიდა ურუგვაის, მაგრამ გოლი არ ჩანდა და ლივერპულში, სწორედ ლივერპულელმა ფეხთარსამ, პიტერ კროუჩმა გაიტანა, რომელმაც რუნი შეცვალა მეორე ტაიმში. მოლოდინის მიუხედავად, ერიკსონმა კროუჩი ძირითადში არ დააყენა და ადგილი ახალბედა დარენ ბენტს ანდო.

შვედმა თამაში ასე შეაფასა: „კოული ფანტასტიკური იყო, ჩვენ მარცხენა ფლანგზე გვქონდა პრობლემები, ეშლი კოული ისედაც დამტვრეულია, ბრიჯი კი ნახევარ საათში დაგვემტვრა. თამაში კარგი იყო, გამარჯვება კიდევ უკეთესი“.

კროუჩი კი, რომელმაც პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა, ძალიან ხარობდა, ნამდვილად მოვხვდები მსოფლიოს ჩემპიონატზეო.

**ამხანაგური მატჩი**

**ინგლისი 2:1 ურუგვაი**

0:1 პოუსო (26), 1:1 კროუჩი (75), 2:1 კოული (90)

**ინგლისი:** პ. რობინსონი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ტერი (კინგი 46), ბრიჯი (კარაგერი 30), ბექემი (შ. რაიტ-ფილიპსი 64), ჯერარდი (ჯენასი 46), კარიკი, ჯ. კოული, რუნი (კროუჩი 64), დ. ბენტი (დეფო 82)

**ურუგვაი:** კარინი (ვიერა 46), დიოგო, ლუგანო, გოდინი, ლიმა, პოუსო, პერესი (გონსალესი 88), ვარელა (ვალდესი 90), ვარგასი (პერეირა 76), რეგეირო (მარტინესი 83), ფორლანი (მედინა 86)

გაფრთხილება: ბექემი, კარაგერი, ლუგანო, დიოგო, ფორლანი

40 013 მაყურებელი

**ირაკლი გამყრელიძე**



რობი კინი

AFP დუბლინიდან

# შვედების რვა უცებ გაირღვა

## გაბრწყინება-ჩაბრწყინების ამბავი

**ამხანაგური მატჩი**

**ირლანდია 3:0 შვედეთი**

1:0 დაფი (35), 2:0 კინი (47), 3:0 მილერი (70)

**ირლანდია:** გივენი (ჰენდერსონი 48), ჯ. ობრაიენი (მილერი 61), ჯ. ობრაიენი, რ. დანი, ჰარტი (კილბეინი 61), ელიოტი (კავანაფი 48), ს. რიდი, ოში (აირლენდი 48), დაფი, რობი კინი, დოილი (მორისონი 68)

**შვედეთი:** ისაკსონი, ოსტლუნდი (კ. ანდერსონი 74), მელბერგი, ჰანსონი, ედმანი, ლინდეროტი (დ. ანდერსონი 69), ელმანდერი (იონსონი 60), კალსტრომი (სვენსონი 60), იბრაჰიმოვიჩი (როზენბერგი 37), ლარსონი (ოლბოკი 78)

გაფრთხილება: რიდი, ოსტლუნდი, კ. ანდერსონი

34 000 მაყურებელი

**მაგარი** გამოდგა სტივ სტაუნტონის დებიუტი ირლანდიის ნაკრების მენეჯერის თანამდებობაზე. ირლანდიელებმა ამხანაგურ მატჩში 3:0 მიანგრიეს შვედები.

ანგარიში 35-ე წუთზე დემიენ დაფმა გახსნა რიკოშეტიანი დარტყმით. ტაიმის ბოლოს ახალმა კაპიტანმა რობი კინმა დაჰკრა 16 იარდიდან, მეორე ნახევრის შუაწელზე კი შეცვლაზე შესულმა ლაიამ მილერმა გაარღვია შვედების დაცვა.

ირლანდიელები მსოფლიო თასის მიღმა არიან, შვედები კი იქ ინგლისს უნდა შეხვდნენ.

მასპინძელთა მეკარე შეი გივენმა გასაქანი არ მისცა ზლატან იბრაჰიმოვიჩს, თამაშის ვარსკვლავი კი დაფი იყო. შვედებს ჰქონდათ შანსები: ჰენრიკ ლარსონიც შთამბეჭდავად დაძვრებოდა ირლანდიელთა რიგებში, მაგრამ თამაში ძალიან ირლანდიისა იყო. თავად სტაუნტონი გახარებული იყო: „იმაზე უკეთესი გამოვიდა, ვიდრე ველოდი. დაფის და რობის ინდივიდუალურ გაბრწყინებას კი ვგეგმავდი, მაგრამ მთელ გუნდს თუ ასეთი ალმაფრენა ექნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი“.

შვედთა მწვრთნელმა ლარს ლაგერბეკმა კი თქვა, რომ ეს იყო მისი გუნდის ყველაზე უარესი თამაში იმ რვა წელიწადში, რაც ის ნაკრებს ხელმძღვანელობს.

**ირაკლი გამყრელიძე**



ბელგია ალალად უგებდა ლუქსემბურგს 2:0-ს, მაგრამ სტუმართა მწვრთნელ რენე ვანდერეიკენის სანაკრებო დებიუტს დაათოვა და თამაში შეწყდა

AFP ლუქსემბურგიდან

# მარტინის პარადოქსი: მოუცლელი უფრო მეტს აკეთებს



## რეალის ახალმა პრეზიდენტმა ჯადოსნური სიტყვები იცის

ფერნანდო მარტინმა მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის რანგში პირველი ინტერვიუ REALMADRID TV-ს მისცა. მარტინმა სამომავლო გეგმებზე, ფეხბურთელებზე და „რეალის“ წინა პრეზიდენტზე, ფლორენტინო პერესზე ილაპარაკა

— საკუთარ თავს როგორ დაგვიხასიათებდით?

— ჩათვალეთ, რომ ვარ პიროვნება, რომელიც „რეალის“ სათავეში ოპტიმისტური განწყობით მოვიდა. რაც ადამიანისგან შესაძლებელია, გუნდის სასიკეთოდ ყველაფერს გავაკეთებ. მართალია, ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ ადამიანი რაც უფრო მოუცლელია, მით უფრო მეტი საქმის გაკეთებას ასწრებს.

— ფერნანდო მარტინი, როგორც „რეალის“ „რიგითი“ ქომაგი...

— მატჩებს ინტენსიურად ვადევნებ თვალს. რა თქმა უნდა, მწყინს, როცა ვხედავ, რომ ფეხბურთელებს მოედანზე მონდომება აკლიათ, ან კიდევ შეცდომებს ვუშვებთ ხოლმე.

— თუმც ამ წყენას ყოველთვის ღირსეულად გამოხატავთ...

— მე ვიცი, მადრიდის „რეალი“ რასაც წარმოადგენს და ყოველთვის ვეცდები, კლუბის პრესტიჟი არ შეიბღალოს.

— რას გვეტყვით ფლორენტინო პერესზე. „რეალში“ თქვენს წინამორბედ პრეზიდენტზე?

— მინდა, ფლორენტინოს „რეალში“ გაწეული უზარმაზარი სამუშაოსთვის მადლობა ვუთხრა. თითქოს კლუბის სათავეში ცოტა ხანს იყო, თუმცა „რეალის“ ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. პერესმა თითქმის გამქრალი გუნდი ჩაიბარა და მსოფლიო გრანდად აქცია. ფლორენტინოს შემდეგ მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა. მან გადადგომის გადაწყვეტილება უყოყმანოდ მიიღო მიუხედავად იმისა, რომ „რეალიდან“ მისი ასე წასვლა ვერ წარმოედგინათ — ფლორენტინოს აზრით, საპრეზიდენტო სიახლეებმა გუნდისთვის სიკეთე უნდა მოიტანოს. პერესს ღირსეულ პიროვნებად და „რეალის“ ერთგულ რაინდად ვთვლი.

— რა განსხვავებაა მასსა და თქვენ შორის?

— საერთო ჯამში ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვევა. როცა პერესმა მითხრა, რომ პრეზიდენტობიდან წასვლას აპირებდა, მე განვუცხადე, ბოლო წამამდე თქვენთან მიგულეთ-მეთქი. განსხვავებები, რა თქმა უნდა, არსებობს, ოღონდ მსგავსება გაცილებით მეტია.

— სამომავლოდ რა მიზნები გაქვთ?

— დიდი მიღწევების შენარჩუნებას და ზოგიერთი შეცდომის გამოსწორებას ვაპირებ. ვაღიარებ, რომ ფლორენტინოს პრეზიდენტობისას რაღაც მოვლენების შედეგი სწორად ვერ გამოვთვალეთ. ძირითადად სპორტულ ასპექტს ვგულისხმობ, დანარჩენს, ანუ „რეალის“ მარკეტინგსა და ეკონომიკურ სიტუაციას, თავადაც იცით, წუნი არ დაედება. სამწუხაროდ, ადამიანთა მახსოვრობა იმაზე უფრო სუსტია, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია — ხალხმა ფლორენტინოს დროს მიღწეული სპორტული წარმატები მიივიწყა. მაშინ კი კოპა დელ რეის გარდა ყველაფერი მოვიგეთ. გაგიჭირდებათ, ვერ გაიხსენებთ პრეზიდენტს, რომელსაც პერესივით უმადურად მოექცნენ...

— ფეხბურთელებზე რას იტყოდით?

— ენთუზიაზმი, ერთიანობა და იმედი — თუ ამ სამ ჯადოსნურ სიტყვას საქმედ ვაქცევთ, წარმატებებიც აღარ დააყოვნებს. მადრიდის „რეალში“ ტყუილუბრალოდ არავინ ხვდება. თუ სათამაშოდ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოხვედი, ესე იგი, მსოფლიოს საუკეთესო კლუბის გამარჯვებისთვის უშეღავათო ბრძოლაც მოგიწევს...

— ფლორენტინო პერესის ეკონომიკური და სპორტული პროექტებით თავის დროზე მთელი მსოფლიო აღტაცებული იყო. თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— ერთი და იგივე ავადმყოფობას სხვადასხვა პიროვნებები ხშირად განსხვავებული წამლებით მკურნალობენ, თუმცა დიაგნოზი მე და ფლორენტინომ კლუბს ერთნაირი დავუსვით... გუნდი მაშინაა ძლიერი, როცა თავისუფალია. ეს თავისუფლება კი ეკონომიკურ სიმძლავრეზეა დამოკიდებული. ამით „რეალის“ მარკეტინგის პრობლემებზე კი არ მიგითითებთ, არამედ იმაზე, რომ ცალკეული შეცდომების გამოსწორების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. პერესის თავდაპირველი ბრწყინვალე პერიოდის შემდეგ უკვე ორი წელია, გუნდს არაფერი მოუგია. ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლება...

— პრიმერადივიზიონში და ჩემპიონთა ლიგაზე რთული მატჩები გელით მადრიდის „ატლეტიკოსთან“ და ლონდონის „არსენალთან“...

— „ატლეტიკო“ გუნდური სულისკვეთებით უნდა დავამარცხოთ. ამასთან, ინჩასებმაც ფეხბურთელებს მხარი მაქსიმალურად უნდა დაუჭირონ. კარგი იქნება, თუ „სარაგოსასთან“ სათასო მატჩს გავიხსენებთ. რასაკვირველია, იმ გმირული ომის პერმანენტულად გამეორებას ვერ მოვახერხებთ, თუმც მსგავსადაც რომ ვითამაშოთ, მაინც კმაყოფილი ვიქნები. წაგება მეტი აღარ შეიძლება, მაგრამ რომც დავმარცხდეთ, არასასურველი შედეგის მიზეზი ფეხბურთელებთან კორექტული, გულისხმიერი დიალოგით უნდა დავადგინოთ. დიდ საფეხბურთო ჯილდოებს დიდი შრომისა და ერთსულოვნების გარეშე ვერ მოვიპოვებთ.

— თავდაპირველი ცნობების მიხედვით, თქვენ „რეალის“ თავკაცად 2008 წლის არჩევნებამდე უნდა დარჩენილიყავით. თუმცა, არის გარკვეული მოსაზრება, რომ სამეფო გუნდში არჩევნები ახლავე უნდა მოეწყოს...

— საარჩევნო პერიოდისა და ხმის მისაცემი ურნების არ მეშინია. 1982 წლამდე აქტიური პოლიტიკოსი ვიყავი და არჩევნებში მონაწილეობის ალბათობა დღესაც დიდი აზარტით მავსებს. თუმცა „რეალის“ პრეზიდენტისთვის მთავარი არა პირადი, არამედ კლუბის ინტერესებია. ჩემი აზრით, შუაგულ სეზონში არჩევნების ჩატარება სიკეთეს არ მოგვიტანს. ინჩასებს ვთხოვ, სიმშვიდე შეინარჩუნონ, როცა საჭირო იქნება დრო მოითხოვს, არჩევნებიც მაშინ ჩატარდება.

— ყველაზე უფრო მეტად რომელმა ფეხბურთელმა მოახდინა შთაბეჭდილება თქვენზე?

— ჩემთვის და ალბათ მადრიდელთა უმრავლესობისთვის სამაგალითო ალფრედო დი სტეფანო გახლავთ. დონ ალფრედო მოედანზეც და ცხოვრებაშიც თავგანწირულად იბრძოდა, თავის საქმეს პირნათლად აკეთებდა და ბედს არასდროს შერიგებია. დანარჩენი ფეხბურთელების დასახელებისგან კი, თუ ნებას მომცემთ, თავს შევიკავებ — დი სტეფანოს შემდეგაც ძალიან ბევრი შესანიშნავი ოსტატი თამაშობდა და თამაშობს მადრიდის „რეალში“.

— თქვენი ფავორიტი მატჩებიც გაიხსენეთ...

— შესანიშნავი იყო, როცა ფლორენტინო პერესის პრეზიდენტობით პირველად მოვიგეთ ესპანეთის ჩემპიონობა. ასევე ჩემპიონთა ლიგის გლაზგოში გამართულ ფინალსაც სიამოვნებით გავიხსენებდი. დაუვიწყარი თამაში გახლდათ, სამაგალითოდ გავიმარჯვეთ...

# ფაბრეგასმა სპილოს ყურებზე ხახვი დააჭრა

**ამხანაგური მატჩი**

**ესპანეთი 3:2 კოტ დივუარი**

0:1 კეიტა (13), 1:1 ვილია (23), 1:2 კალუ (47), 2:2 რეიესი (74), 3:2 ხუანიტო (85)

**ესპანეთი:** კასილიასი, პუიოლი (სალგადო 46), პაბლო (ხუანიტო 80), სერხიო რამოსი, ანტონიო ლოპესი, ლუის გარსია (ხოაკინი 46), ალბელდა (მორიენტესი 70), ხაბი ალონსო (სენა 60), ფაბრეგასი, ფ. ტორესი (რეიესი 66), ვილია

**კოტ დივუარი:** ტიზიე, ბოკა, ებუე, დომორო, მეიტე, ი. ტურე (კუასი 46), ზოკორა (ფაე 84), აკალე (გუელი 46), კეიტა (ბ. კალუ 46), დროგბა, არუნა კონე (დინდანე 73)

გაფრთხილება: კუასი, სერხიო რამოსი, ზოკორა

22 290 მაყურებელი

**ესპანეთის** ნაკრები ორჯერ ჩამორჩა ანგარიშში, საბოლოოდ კი მაინც დაამარცხა აფრიკის თასის ფინალისტი კოტ დივუარი. ესპანელთა გამარჯვებისა შუა მცველმა ხუანიტომ გაიტანა თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე. ეს მატჩი კი მიჯრით მეცხრამეტე წაუგებელი იყო ესპანელთათვის ლუის არაგონესის ხელში.

თავად მხცოვანმა მწვრთნელმა თქვა, ვფიქრობ, ხალხმა ისიამოვნა კარგი თამაშით, თანაც მეტოქე ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურადო.

თამაში, შედეგის მიუხედავად, აფრიკელთა ფრანგ დამრიგებელ ანრი მიშელსაც მოეწონა: „სამი გაშვებული გოლი ნაკლებად მადარდებს, რაკი მატჩში ჩემი საუკეთესო მცველები არ მყოლია, სხვა მხრივ კი კარგად ვითამაშე და ორი გოლიც შევაგდეთ“.

ხოლო არაგონესმა დასძინა, სახიფათო მომენტები მეტოქეზე მეტი შევქმენითო.

ანგარიში კოტდივუარელმა „სპილოებმა“ მალევე გახსნეს. მასპინძელმა მცველებმა კანგა აკალეს პასი ვერ ჩაჭრეს და აბდელკადერ კეიტამ კასილიასს მაღალ კუთხეში გაუტანა.

დავიდ ვილიამ ათ წუთში გაათანაბრა: მისი პირველი დარტყმული მეკარე ჟაკ ტიზიემ მოიგერია, დამატებულს კი ველარაფერი მოუხერხა. მაგრამ ვილიასთან ერთად ფრანსესკ ფაბრეგასიც უნდა ვახსენოთ, ვინაც დიდებული დრიბლინგით შეიჭრა საჯარიმოში და ზუსტი პასი მიართვა თანაგუნდელს. დავძინოთ: არსენალელი ფაბრეგასი ახლახან გახდა თვრამეტის, ესპანეთის ნაკრების უყრმესი ფეხბურთელიც გახლავთ და ეს მისი სადებიუტო მატჩი იყო.

გამთანაბრებელმა გოლმა ესპანელები გაალაღა. იმავ ფაბრეგასმა მეტოქის დაცვის ხაზში ბლომად ხვრელები აღმოაჩინა, სერხიო რამოსმა კი ნაღდი შანსი ვერ გამოიყენა.

მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და გოლი ისევ კოტდივუარელებმა გაიტანეს. შეცვლაზე შესულმა ბონავენტურ კალუმ ნაღდად მაგარი გოლი გამოჭედა.

არაგონესმა მდგომარეობის გამოსწორება კიდევ ერთი დებიუტანტის შეშვებით სცადა — ბრაზილიაში დაბადებული და მერე გაესპანელებული მარკოს სენა შეუშვა მოედანზე.



AFP

ესპანელები „სპილოებთან“ გამარჯვებას ზეიმობენ

სენას ბევრი არაფერი გაუკეთებია, თუმცა სხვათა გარჯით ესპანელებმა ორი გოლი მაინც გაიტანეს. გამარჯვების გოლზე თავში მოგახსენეთ, მეორე გოლი კი ხოსე ანტონიო რეიესმა გაიტანა დაბალ კუთხეში.

**კოტე ქექელია**

# რეალის თავების თავგადასავლები

59 წლის მილიონერი ფერნანდო მარტინ ალვარესი რიგით მეთხუთმეტე პრეზიდენტია, მადრიდის „რეალის“ თავკაცობა რომ ჩაიბარა. უინტერესო არ იქნება, სამეფო გუნდს ისტორიას და იმ ადამიანებს თუ გავიხსენებთ, რომელთაც „რეალის“ საფეხბურთო ლეგენდად ქცევაში დიდი წვლილი მიუძღვით


დონ სანტიაგო ბერნაბეუ „სანტიაგო ბერნაბეუზე“

### ხულიან პალასიოსი
(1900-1902)

კლუბის პირველი პრეზიდენტი. იმ პერიოდში მოუწია მმართველობა, როცა „რეალის“ გულშემატკივრებს მომავალი დიდება არც დაესიზმრებოდათ. პალასიოსმა გუნდს ოფიციალურ ჩამოყალიბებამდე უხელმძღვანელა, ანუ პირდაპირ ვთქვათ: იმ დროს „რეალი“ იყო და არც იყო...

### ხუან პადროსი
(1902-1904)

მისი მმართველობისას ოფიციალურად გაფორმდა კლუბი სახელად მადრიდის „რეალი“. ხულიან პალასიოსის რომანტიკულ წამოწყებას „რეალური“ სახე მიეცა.

### კარლოს პადროსი
(1904-1907)

ხუან პადროსის ძმა და კლუბის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა. ფეხბურთის შესანიშნავი სპეციალისტი, რაც იმ ეპოქისთვის ჯერაც უჩვეულო იყო. ესპანეთის ჩემპიონატის ჩამოყალიბების იდეაც კარლოს პადროსისგან მოდის.

### ადოლფო მელენდესი
(1908-1916) (1939-1941)

გალისიელმა დიდგვაროვანმა და ესპანეთის არმიის გენერალმა „რეალს“ ორი განსხვავებული ეპოქის დროს უთავკაცა. პირველად ძმები პადროსების წამოწყებული საქმე მოაღონიერა ფინანსურად, შემდეგ კი ესპანეთის სამოქალაქო ომის დასასრულს გაკოტრებული კლუბი საიქიოდან მოაბრუნა. მელენდესის დროს აშენდა სტადიონები „ნარვაესი“ და „ო დონელი“.

### პედრო პარაგესი
(1917-1926)

ეს ის დროა, როდესაც ესპანური საფეხბურთო ლიგა პროფესიული ხდება. პარაგესს „რეალის“ ისტორიაში დიდ მეცენატად იხსენიებენ.

### ლუის დე ურკიხო
(1926-1929)

მოხერხებული და ნიჭიერი კომერსანტი, რომლის ხელმძღვანელობითაც „რეალმა“ პროფესიულ ფეხბურთში გადასვლა უმტკივნეულოდ შეძლო. ლუის დე ურკიხომ ცნობილი "ჩამარტინის" სტადიონის მშენებლობა წამოიწყო. ეს საქმე მილიონნახევარი ძველი პესეტა დაჯდა, ხოლო „ჩამარტინი“ საბოლოოდ 1932 წელს ააშენეს.

### ლუის უსერა
(1929-1933)

ამ პრეზიდენტის დროს „რეალში“ გაწევრიანებულ ფანთა რიცხვი გაიზარდა.

*შედეგები: ესპანეთის ორგზის ჩემპიონობა.*

### ანტონიო სანტოსი
(1933-1934)

მისი მმართველობა ყველაზე ხანმოკლე გახლდათ. თუმცა ანტონიო სანტოსის სახელს 30-იანი წლების დიდი გუნდის შექმნა უკავშირდება.

*შედეგები: ესპანეთის ჩემპიონობა და ქვეყნის თასი*

### რაფაელ სანჩესი
(1935-1939)

ადვოკატის, ჟურნალისტის, დეპუტატის მოვალეობებს რაფაელ სანჩესისთვის ხელი არ შეუშლია, „რეალი“ მტკიცედ ხელით ემართა. რა თქმა უნდა, სისხლიანმა სამოქალაქო ომმა გუნდის ეკონომიკაზეც იქონია გავლენა და სანჩესის პრეზიდენტობის მიწურულს კრიზისის საფრთხეც შეიქმნა, თუმცა კლუბის ისტორიაში დონ რაფაელს მაინც სიამაყით იხსენებენ.

*შედეგი: ქვეყნის თასი*

### სანტიაგო ბერნაბეუ
(1943-1978)

ეს კაცი ფეხბურთის ისტორიაში სრულყოფილი პრეზიდენტის სახელით შევიდა. სანტიაგო ბერნაბეუს ავტორიტეტი და მიღწევები იმდენად დიდია, რომ „რეალის“ მოძულენიც პატივისცემით ახსენებენ. ფეხბურთელობით დაიწყო, შემდეგ დირექტორატის წევრი გახდა, შემდეგ კი, გარდაცვალებამდე (1978), სამეფო კლუბის პრეზიდენტის მოვალეობას ბრწყინვალედ გაართვა თავი. სწორედ დონ სანტიაგო ბერნაბეუს დროს დაიგდო „რეალმა“ მსოფლიო სახელი. ლეგენდარული პრეზიდენტი ევროპის ჩემპიონთა თასის დაარსების ერთ-ერთი თაოსანი იყო. 1947 წელს კი „ესტადიო სანტიაგო ბერნაბეუ“ ააშენა. მის ხელქვეით „რეალში“ ფეხბურთელების მთელი თანავარსკვლავედი მოვიდა და, სავროთოდაც, ბერნაბეუს პრეზიდენტობის წლები „რეალის“ ოქროს ხანად არის მიჩნეული.


ლორენსო სანსი

*შედეგები: ესპანეთის ჩემპიონობა (16); თასი (6); კოპა ლატინა (2); ჩემპიონთა თასი (6); საკონტინენტთაშორისო თასი (1).*

### ლუის დე კარლოსი
(1978-1985)

ცხადია, ბერნაბეუს შემდგომი სიცარიელის შევსება ნებისმიერი ადამიანისთვის რთული იყო და ლუის დე კარლოსისთვის მითიური კაცის მერე პრეზიდენტობა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მან „რეალში“ წინამორბედის ტრიუმფალური კურსის შენარჩუნება მოახერხა.

*შედეგები: ესპანეთის ჩემპიონობა(2); სამეფო თასი (2); უეფას თასი (1).*

### რამონ მენდოსა
(1985-1995)

ძალიან ძნელია მენდოსასნაირი პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება — „რეალის“ ინჩასთა ერთი ნაწილი მას დღესაც ქებით მოიხსენიებს, სხვებს კი მისი გვარის გაგონებაზე ოდენ წყევლა-კრულვა მოადგებათ პირზე. მენდოსამ საკმაო ჯილდოები კი მოიგო, ოღონდ კლუბი ვალებში ჩაფლული დატოვა...

*შედეგები: ესპანეთის ჩემპიონობა (6); კოპა დელ რეი (2); ესპანეთის სუპერთასი (4); უეფას თასი (1) და ლიგის თასი (1)*

### ლორენსო სანსი
(1995-2000)

სანსმა მენდოსას დროინდელი ეკონომიკური პრობლემები კი მოაგვარა, თუმცა ვალების სრული დაფარვა ვერ შეძლო. სპორტული მიღწევების მხრივ, იგი ერთ-ერთ წარმატებულ პრეზიდენტად ითვლება.

*შედეგები: ესპანეთის ჩემპიონობა (1); ესპანეთის სუპერთასი (1); ჩემპიონთა თასი (2); საკონტინენტთაშორისო თასი (1).*

### ფლორენტინო პერესი
(2000-2006)

პერესს „რეალის“ სპორტული და ეკონომიკური აყვავება უკავშირდება. სამარკეტინგო ბაზარზე მან „რეალი“ მწვერვალზე აიყვანა, ხოლო სპორტული მიღწევებით, მადრიდული გრანდი ევროპაში ერთ-ერთი პირველი გახლდათ, თუმცა ბოლო ორწლიანი კრიზისის შემდეგ პერესმა გადაწყვიტა, თანამდებობა ნებაყოფლობით დაეთმო...

*შედეგები: ესპანეთის ჩემპიონობა (2); ჩემპიონთა ლიგა (1); საკონტინენტთაშორისო თასი (1); ევროპის სუპერთასი (1); ესპანეთის სუპერთასი (2).*

# იუვენტუსის კითხვის ნიშნები
## სამი ფიქრობს და ერთი პასუხს ელის



**ტურინის** „იუვენტუსის“ ბანაკში ერთგვარი პანიკაა. საქმე ის არის, რომ „ბებერი ქალბატონის“ შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ირლანდიასთან სამარცხვინოდ წაგებულ (0:3) ამხანაგურ მატჩში მუხლი დაიზიანა. იტალიელი ექიმები შიშობენ, რომ მას ჩემპიონთა ლიგაში ბრემენის „ვერდერთან“ საპასუხო შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. თითქმის ასი პროცენტით გადაწყვეტილია, რომ იბრაჰიმოვიჩი არ ითამაშებს შაბათს გენუის „სამპდორიასთან“. საბოლოო სიტყვას მედიკოსები გამოკვლევების შემდეგ იტყვიან.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსი“ ბრემენში აგებდა, მერე იგებდა, ბოლო 5 წუთში კი 2 გოლი გაუშვა და 2:3 დამარცხდა. ამ ანგარიშის ამოქაჩვა არცთუ ადვილი საქმეა და იბრაჰიმოვიჩის არყოფნა ტურინელებს საგრძნობლად დაეტყობათ. ამას ისიც ემატება, რომ ძალიან სათუოა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის ჯანლუკა ძამბროტას თამაშიც.

„დიდი იმედი მაქვს, რომ ტრავმა სერიოზული არ არის. ახლა ექიმების პასუხს უნდა დაველოდო“ — თქვა თავად შვედმა თავდამსხმელმა.

პარალელურად არ წყდება მითქმა-მოთქმა, შესაძლოა, სეზონის ბოლოს „იუვენტუსი“ ცნობილმა სამეულმა, ჯირაუდო-ბეტეგა-მოჯიმ დატოვოსო. ეს ტრიო გუნდს, ფაქტობრივად, ათწლეულზე მეტია, მართავს და მათი წასვლა „ბებერ ქალბატონში“ სერიოზულ ცვლილებებს — შესაძლოა, პრობლემებსაც — გამოიწვევს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს ადრე თუ გვიან უნდა მოხდეს და ამის დრო ნელ-ნელა ახლოვდება. იტალიურ პრესაში ისიც დაიწერა, ფაბიო კაპელოს უთქვამს, „დელე ალპიზე“ კიდევ ერთი წლით ჩემი დარჩენა მათზეა დამოკიდებული, თუ წავლენ, მხოლოდ მაშინ დავრჩებიო.

„ამ დროისთვის გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ჯერ ისევ ვფიქრობთ, მაგრამ ივნისამდე ყველაფერი გაირკვევა. კლუბში ჩვენი მუშაობით კმაყოფილები ვართ და ვფიქრობ, ამის საფუძველიც გვაქვს. რაც შეეხება კაპელოს, ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ იგი უდიდესი მწვრთნელია და „იუვენტუსში“ დარჩება. თუნდაც დელ პიეროს მაგალითი რად ღირს. მან გუნდის სიმბოლო სათადარიგოთა სკამზე დასვა და აიძულა, ფორმა აღედგინა“ — განაცხადა დირექტორმა ანტონიო ჯირაუდომ.

**გიორგი ბაბაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამხანაგური მატჩები

## შვეიცარიელი არგენტინელები ყინვაში



AFP

**არგენტინა 2:3 ხორვატია**

0:1 კლასნიჩი (3), 1:1 ტევესი (4), 2:1 მესი (6), 2:2 სრნა (52), 2:3 შიმიჩი (90)

**არგენტინა:** აბონდანსიერი, კოლოჩინი (ლ. გონსალესი 60), დემიკელისი, სამუელი, ბურდისო, კამბიასო, პონსიო, მესი, რიკელმე, კრუსპო (დ. მილიტო 75), ტევესი (აიმარი 68)

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, ტომაში (ტოკიჩი 46), ტუდორი, ბაბიჩი, ნ. კოვაჩი (ჯ. ლეკო 82), კრანჩარი (ბულიატი 90), მოდრიჩი (ი. ლეკო 84), სრნა, პრსო (პეტრიჩი 90), კლასნიჩი (ოლიჩი 75)

გაფრთხილება: სრნა, ბურდისო, ტუდორი

13 138 მაყურებელი

**მართალია,** თამაშის ოქმში პირველი არგენტინა წერია, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ მატჩი მართლა არგენტინაში გაიმართა — ხორვატიამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მოუგო. ერთი ეგ არის, გვეეჭვება, ეს ამბავი არგენტინელებს შვებას გვრიდეს. რაც შეეხებათ ბალკანელებს, მათ, მართალია, იუგოსლავიის დაშლის მერე უკვე მეექვსედ მოუწიათ შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობამ და ამ ექვსი ცდიდან ხუთჯერ წარმატებას მიაღწიეს, ტრადიციულ ფავორიტთა სიაში მაინც არ შეჰყავთ.

ხოლო მატჩი, რომელზეც მოგახსენებთ, მართლა საინტერესოდ წარიმართა: მე-3 წუთზე ხორვატმა ფორვარდმა ივან კლასნიჩმა გახსნა ანგარიში, თუმცა სამ წუთში ტაბლოზე სულ სხვა რამ, არგენტინელთა სასარგებლო 2:1 ეწერა. და მაინც, როგორც მოგახსენეთ, საბოლოოდ ევროპელებმა მოიგეს. შესვენების შემდეგ დარიო სრნამ და დარიო შიმიჩმა გაიტანეს.

„ჯერ კიდევ შესარჩევი შეჯიბრების დროს დავამტკიცეთ, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელები გვყავს, რაც დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის წინააღმდეგ შეხვედრაშიც გამოჩნდა. ვიცი, დღევანდელი გამარჯვება ხორვატიაში ხალხს მსოფლიოს ჩემპიონატის წინ იმედს გაუღვივებს, მაგრამ ამ იმედის და პასუხისმგებლობის არ მეშინია. პირიქით, ჩემი აზრით, არგენტინელების ძლევა საკუთარი თავის რწმენას შეგვმატებს, რაც გერმანიაში გამოგვადგება“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ხორვატების თავკაცმა ზლატკო კრანჩარმა.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელი ხოსე პეკერმანი, ბუნებრივია, პრესკონფერენციას უფრო მოღუშული შეხვდა, მაგრამ ისიც დასძინა, რომ ხორვატიასთან მარცხი მისი გუნდის სამზადისს ვერ არევს.

„რასაკვირველია, ცუდი შედეგი გვქონდა, მაგრამ ჩვენს გუნდს სულ უკეთ და უკეთ შეუძლია თამაში. მე ყოველთვის ვცდილობ, დაცვა და თავდასხმა დავაბალანსო. მართალია, ხორვატებთან შეხვედრაში დაცვამ ვერ ივარგა, მაგრამ ჩემი მცველებისა მწამს და ვიცი, რომ ის, რაც ბაზელში მოხდა, აღარ გამეორდება“.

უნდა ითქვას ამინდზეც, რომელმაც, არ არის გამორიცხული, თავისი დაღი დაასვა შეხვედრას — „სენტ იაკობის“ სტადიონზე ყინავდა. ზემოთ არც არგენტინელთა გოლებზე გვითქვამს, არადა, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გოლში „მონაწილეობდა „ბარსელონას“ მარჯვენაფლანგელი ლეო მესი — პირველი კარლოს ტევესს გაატანინა, მეორე კი თავად შეაგდო.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელებს კიდევ შეეძლოთ გოლების გატანა. ხორვატების დაცვასა და კარს ემუქრებოდნენ იგივე მესი, ხუან რომან რიკელმე, ტევესი და ერნან კრესპო, რომელიც ხუან პაბლო სორინის არყოფნაში პირველად კაპიტნობდა არგენტინის ნაკრებს, მაგრამ გამარჯვება, მოგეხსენებათ, ევროპელებს დარჩათ.

**პაპუნა ქედია**

# რონალდო კარგი ხელოსანია

## პარეირამ პროგრესი დაინახა



AFP

**რუსეთი 0:1 ბრაზილია**

0:1 რონალდო (15)

**რუსეთი:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ვ. ბერეზუცკი, ანიუკოვი, ალდონინი, ჟირკოვი, სმერტინი, ლოსკოვი (ბილიალეტდინოვი 65), არშავინი, კერჟაკოვი

**ბრაზილია:** როჟერიო სენი, სისინიო, ლუსიო, ჟუანი (კრისი 46), რობერტო კარლოსი (გუსტავო ნერი 64), ემერსონი (ჟილბერტო სილვა 73), კაკა (ჟუნინიო 73), რიკარდინიო (ედმილსონი 46), ზე რობერტო, ადრიანო, რონალდო (ფრედი 64)

30 000 მაყურებელი

**სანამ** მსოფლიოს ჩემპიონატი ჩათავდება და რუსეთის ნაკრებს გუს ჰიდინკი ჩაიბარებს, მანამდე რუსთა მწვრთნელი ალექსანდრ ბოროდიუკია, რომლის სადებიუტო მატჩი მარცხით კი დასრულდა, მაგრამ მან გუნდი საკმაოდ სიმპათიურად ათამაშა და ქომაგები უკმაყოფილონი არ დარჩენილან. ისიც გავითვალისწინოთ, რომ რუსების მეტოქე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილია იყო. ხოლო რონალდომ შეხვედრის ერთადერთი ბურთი ხელით შეაგდო...

ბრაზილიას აკლდა მთავარი ვარსკვლავი, რონალდინიო, რომელიც ახლა „ბარსელონას“ მატჩებითაა დაკავებული. მოსკოვში ჩავიდა რობინიო, მაგრამ მან მატჩს სათადარიგოთა სკამიდან უცქირა. სხვა მხრივ პენტაკამპეონებს დანაკლისი არ ჰქონიათ. ფაქტობრივად ძირითადი გახლდათ რუსთა შემადგენლობაც.

ბოროდიუკმა ხუთი ნახევარმცველი დააყენა, ალბათ იმიტომ, რომ ნახევარდაცვაში ნაკლები პრობლემა შექმნოდა, მაგრამ ბრაზილიელები მოედნის ცენტრში უპირატესობას მაინც ფლობდნენ და თამაშიც პირველივე წუთებიდან მათი კარნახით წარიმართა.

